სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა.

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის-მაღაზიას.

ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д Дворянства.
Телефонъ № 363.

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი „ცნობის ფურცლისა" გამოვა შაბათს, 3 ოქტომბერს.

გაზეთი „ცნობის ფურცელი"
წლის დამლევამდე
# ღირს 2 მანათი

# კრება დრამატ. საზოგადოებისა

დანიშნული პარასკევს, 25 სექტემბერს, რადგან საკმაო წევრთა დაუსწრებლობით არ შესდგა, ამიტომ იგივე კრება დანიშნულია **კვირას, ოქტომბრის 4-ს**, შუადღის 12 საათზე, სათ.-აზნ. ბანკის დარბაზში.

კრება კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

კენჭის ჩამოტარების უფლება იმას მიეცემა, ვისაც წელს საწევრო ფული აქვს შემოტანილი.

# მცხეთაში

**ხუთშაბათს, 1-ლ ოქტომბერს** სვეტიცხოვლობის დროს (მცხეთობა)

# „არმაზის" ბაღში

დილის 10 საათიდან საღამოს 9 საათამდე დაუკრავს **სამხედრო მუსიკა**

ბაღში ავდრისათვის გამართულია მრავალი ფარდულები, ცალკე ოთახები, კარვები და სხვა თავ-შესაფარი.

ბუფეტში იყიდება ყოველგვარი სასმელები, საჭმელი ადგილობრივი და ევროპიული.

## ფასი ყველაფერზე ზომიერია

(3—3) ბაღის პატრონი ე. ჩხარტიშვილი




ღვინის სარდაფი

# „იყალთო"

თ. გიორგი და ლუარსაბ მაყაშვილებისა

გოლოვინის პროსპექტი, ანტონოვის სახლი, სასტ. „როსსიას" ქვეშ, ახალი თეატრის გვერდზე.

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ ჩვენ გავხსენით საკუთარი მოსავლის ღვინის სარდაფი

# „იყალთო"

ბოთლი 20 კაპ. ვიდრე 1 მანათამდე, ვედროთი ფასი დაკლებულია.

**Винный складъ**
Князей Г. и Л. Макаевыхъ
подъ фирмой

# „ИКАЛТО"

Тифлисъ, Головинскій проспектъ, д. Антонова, подъ гост. «Россія» (75—25)

Ресторанъ «Южные номера» обѣды и ужины

ახლად გამართული რესტორანი

# „იუჟნი ნომერა"

ტფილისი, ბარონის ქუჩაზე

ყოველთვის იშოვება მშვენივრად და გემოიანად გაკეთებული
სადილ-ვახშამი და საუზმე
ხორაგი ყოველთვის ახალი და სუფთაა
რესტორანთან არის მრავალი კაბინეთები და ოთახები
იქვე მშვენიერს ბაღში აუზია ცოცხალის თევზებით
ფასი ყველაფრისა იაფია

(30—28) პატივისცემით ილია აბრამიშვილი

Ресторанъ «Южные номера» обѣды и ужины, дешевизна

შპალერების საწყობი

# ი. გ. მელიქიშვილისა

ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102

ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი
ფასი ყველაფერზე იაფია
შპალერი თვითო ნაჭერი 8 კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე
ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასაწყობი სამკაულები.

**Депо обоевъ**

# I. Г. МЕЛИКОВА

Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни) № 102, около муз· магаз. ЛАНКО. (100—55)

ქუთაისი
ქალაქის თეატრში
შაბათს, 10 ოქტომბერს 1898 წ.
ყოვლად-სამღვდელო გაბრიელის იაფ-ფასიან წიგნთ-საცავის სასარგებლოდ
გამართული იქნება:

I

პირველი მოქმედება ოპერისა

# ნორმა

II

ორი უკანასკნელი მოქმედება ოპერის

# ტრავიატა

უმთავრეს როლებს შეასრულებენ ქ-ნი მნელაძისა და ტენორი ბ-ნი **კოვალენსკი**

# მხატვარი

## გ. გაბაშვილი

**გაკვეთილებს აძლევს** კავკასიის სამხატვრო საზოგადოების დარბაზში, გრიბოედოვის ქ. № 5. მსურველთ ადრევე უნდა ჩაეწერნენ. (10—9)

# ექიმი თუმანოვი

ღებულობს ავადმყოფებს ქალების სატკივრით ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

მადერის ქ. № 6, სახ. ვარლამოვისა

**Д-ръ Тумановъ**

Куки. Мадеровская ул. № 6.

# კბილის ექიმი

ალექსანდრე სოლოლაშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველდღე, დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე

მიხეილის ქუჩა № 32

(30—17)

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი

# ზენკლევსკი

ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

Докторъ медицины и хирургъ
**БЕНКЛЕВСКІЙ**
Грибоѣдовская № 30, д. бывш Аршакуни. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია
**ს. ბ. თოფურიასი**
ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11-საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე· შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. გერრატი.** დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ф. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტია საქიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საქისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

*Лѣчебница С. В. Топуріа* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

—

*** **წლიური აქტი ტფილისის რკინის გზის ტეხნიკურ სასწავლებელში.** 27 სექტემბერს მოხდა წლიური აქტი ტფილისის ტეხნიკურ სასწავლებელში, რომელსაც დაესწრნენ: მისი მაღალ-ყოვლადუსამღვდელოება საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე, ვიცე-გუბერნატორი და სხვა წარჩინებულნი პირნი. სამადლობელი პარაკლისის შემდეგ, სასწავლებლის უფროსმა ფ. ი. რადინსკიმ წაიკითხა 1897—1898 სამოსწავლო წლის ანგარიში, საიდანაც სჩანს, რომ ამ წლის განმავლობაში მთელ სასწავლებელში იყო 78 მოსწავლე, ამათში რუსი 44 ქართველი 9, სომეხი 12 და 13 სხვა და სხვა ეროვნებნსა. ეგზამენების შემდეგ კი დარჩენილა 48 მოსწავლე. აქტის შემდეგ დამსწრენი მიწვეულ იქმნენ საუზმეზე. აქტის დროს კარგის სწავლისა და ყოფაქცევისთვის დაჯილდოვდნენ მესამე კლასის მოწაფე ივანე ვარაზაშვილი და მორე კლასის მოწაფე ვასილ კერვალიშვილი.

*** **ღვინის მოსავალი.** სიღნაღიდან იუწყებიან, რომ უკვე ორი კვირა მეტია ყურძენს ჰკრეფენ. მოსავალი ბარაქიანია. ღვინის შესანახად თურმე ჭურჭელიც აღარ ჰყოფნით, ასე რომ გლეხები იძულებულნი გამხდარან გაჰყიდონ მოსავლის ნაწილი.

*** **გორას რკინის ხიდის შეკეთება.** როგორც ისმის, განზრახვა აქვთ შეუდგნენ გორის რკინის ხიდის შეკეთებას, რომელსაც მტკვარმა გაზაფხულში ბოძები შეარეცხა. მუშაობას დაამთავრებენ ორი თვის განმავლობაში, მანამ ამ ხიდზე მისვლა-მოსვლა სრულიად შესწყდება.

*** **სალიტოგრაფიო ქვა დუშეთის მაზრაში.** გერმანელს ო. ფ. გერფრუტს განზრახვა ჰქონია ითხოვოს ნებართვა დუშეთის მაზრაში სალიტოგრაფიო ქვის წარმოებზე, რომელიც იმყოფება სახაზინო ადგილ-მამულში.

*** **ქართული გალობის სამუდამო გუნდი.** სასულიერო მთავრობის განკარგულებით ტფილისის ანჩისხატის სობოროსთან უნდა დაარსდეს ქართულ მგალობელთა სამუდამო გუნდი. აზრი გუნდის დაარსებისა არის დაცვა ძველი ქართული სასულიერო კილოებისა და მათი გავრცელება საქართველოში. ამ გუნდის შედგენა მონდობილი მაქვს მთავრობისაგან მე და ამიტომ მოვიწვევ ქართული გალობის შესწავლის მსურველთ გამოცხადდნენ ჩემთან ანჩისხატის ტაძრის ეზოში პირობების შესატყობად და საქმის განსახორციელებლად. ეკკლესიაში გალობის დაწყებისათანავე გუნდს დაენიშნება ყოველთვიური გადაწყვეტილი ჯამაგირი.

ანჩისხატის სობოროს მღვ. პოლიევკტო კარბელაშვილი

*** **ვ. ი. კოვალევსკის წასვლა.** ვაჭრობისა და მანაფაქტურის დირექტორი ვ. ი. კავალევსკი 29 სექტემბერს წავიდა ტფილისიდან პეტერბურგს.

*** **მთავარ-მართებლის კანცელარიის ვიცე-დირექტორი** ს. ს. სანდრიგაილო დანიშნულ იქმნა კავკასიის საქალებო ინსტიტუტის საბჭოს წევრად.

*** **ყვავილი ქალაქში.** ქალაქში‘ უმთავრესად კი მე-6 მე-7 განყოფილებაში გაძლიერდა ყვავილი. ამის გამო საგუბერნიო გამგეობის სამკურნალო განყოფილებამ ენერგიული ზომები მიიღო ყვავილის ასაცრელად და შესამცირებლად.

*** **ქალაქის გამგეობის საქმე.** 29 სექტემბერს ქალაქის საბჭომ დაადგინა: განთავისუფლებულ იქნეს ქალაქის გამგეობაში მუშაობისაგან გამგეობის წევრი ხ ა. ვერმიშევი, რომელიც არჩეულ იქმნა საბჭოს მიერ 28 სექტემბერს ცხენის რკინის გზის მომწყობ კომისიის თავმჯდომარედ, ხოლო გამგეობის შენობათა განყოფილების მართვა-გამგეობა მიენდოს ქალაქის ინჟენერის თანამდ. აღმასრულებელს ბ. მუხარინსკის.

*** **ბაღეულობის გამოფენა,** რომელიც დანიშნული იყო 1 ოქტომბრისათვის, გადადებულ იქმნა 4 ოქტომბრისათვის. კავკასიის მებაღეთა 1-ლი კრებაც იმავე დღისათვის არის დანიშნული.

*** **მოკლულ ყაჩაღების ნახვა.** სოფ. ყარბულაღში მოკლული უნახავთ ცნობილი ყაჩაღი სულეიმან ფერგაშ-ოღლი და მისი ამხანაგი „კურდი“, რომლებიც გადარჩნენ დაღესტანში მოთარეშე ყაჩაღთა ბრძოლას.

*** **ვაჭრობა-ადებ-მიცემობის საქმე ჩვენში.** 28 სექტემბერს ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტის დირექტორს ვ. ი. კავალევსკის წარუდგნენ ტფილისის ვაჭრობის კომიტეტის ყველა წევრნი და ვაჭრების მამასახლისი ე. ა. დავიდოვი. ვ. ი. კავალევსკიმ აღუთქვა მათ სრული თავისი დახმარება ტფილისში საკომერციო სკოლის დაარსების საქმეში. სხვათა შორის დირექტორმა სოქვა, სამწუხაროა, რომ ადგილობრივი ვაჭრები ნაკლებად სარგებლობენ კავკასიის ბუნების სიმდიდრით, რის გამო ადგილობრივი მკვიდრნი შეიქნებიან მხოლოდ ნედლი მასალის გამყიდველებად, ხოლო უცხოელნი გამდიდრდებიანო. ამაზე ერთმა დამწრეთაგანმა განაცხადა, რომ ადგილობრივი წარმოება ჯერ კიდევ ახალი საქმეა და ვერ უძლებს კონკურენციას თავისი საქონლის გასაღებაში, ამიერ-კავკასიის რკინის გზის დიდი ტარიფის მეოხებითაო. კავალენსკი ამაზე სავმებით დაეთანხმა, მაგრამ აღნიშნა, რომ შეუჩლებელია ტარიფების საჩქაროდ გაიაფება, სანამ ნავთის მილების გაყვანა არ დამთავრდებაო. შემდეგ კოვალევსკიმ წარმატება უსურვა კომიტეტს, გამოეთხოვა და აღუთქვა გაისად კიდევ მოვალ ტფილისში და უფრო დაწვრილებით მოგელაპარაკებით თქვენი საქმეების შესახებაო.

*** რედაქციამ მიიღო პატარა წიგნაკი „სხივი წარსულისა“, ისტორიული ამბავი დაწერილი იაკობ გოგებაშვილის მიერ. წიგნაკი შეიცავს 15 გვერდს და ღირს ერთი შაური.

*** **კახეთი შუა მთის მონასტერი და მისი დღეობა.** თელავიდამ ექვსი ვერსის სიშორეზე, დასავლეთის მხრივ, არის აშენებული შუა მთის მონასტერი. ამ მონასტერს სახელი თავის ადგილ-მდებარეობისაგან მიუღია, რადგან შიგ შუა მთაში არის აშენებული. ამ მონასტერის მიდამო საუცხოვო სანახავია. სამი მხრიდამ მონასტერს შემორტყმული აქვს მაღალი ხშირი ტყით შემოსილი გორები. თითონ ამართულია ხელის გულივით ვაკე ადგილზე, ხოლო ჩრდილოეთის მხრით გაშლილია მშვენივრათ ალაზნის ველი და გაღმა მხარე.

შუამთის მონასტერი არ არის ძალიან ძველი, ის აშენებულია მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისში, თინათინ დედოფლისაგან, რომელიც იყო კახეთის მეფის ლეონიდ II ცოლი. ეკკლესია ძალიან დიდი არ არის, ასე რომ სიგძით 15 საჟენი იქნება და სიგანით 6 საჟენი. შიგნიდამ ეს მონასტერი მშვენიერი სმნახავია, მაგრამ უფრო კარგი სანახავი მანამდე იქნებოდა, სანამ ეკლესიას შელესავდნენ და ამით ზედ მხატვრობას მოსპობდნენ. მხატვრობა მშვენიერია სილამაზით და სიმდიდრით, სამხრეთით კედელში არის ჩასმული ღვთის მშობლის ხატი, რომელიც ოქროშია გაკეთებული და ძვირფასი თვლებით არის მოჭედილი, როგორც წარწერიდამ სჩანს ეს ხატი შემოწირულია მეფე ლეონიდ მეორისა და თინათინ დედოფლისაგან. როგორც ეტყობა, ყველა კედლები მხატვრობით ყოფილა მოფარგლული, მაგრამ მერე გაულესნიათ კირით და ორიოდე ლა დაუნარჩუნებიათ ჩრდილოეთის კედლისკენ. „ჯვრიდამ ჩამოსვენება ქრისტესი“ კარგათ ეტყობა და მშვენივრადაც არის დახატული. სამხრეთით მთელი კედელი სულ გალესილია, მარტო ერთი მხატვრობის თავები ღა დარჩენილა. დასავლეთით მთელ კედელს აჩნია დიდი მხატვრობა — „მიძინება ყოვლად წმინდისა მარიამისა“. საკურთხეველში კედლები ნახევრის ზევით გალესილია, ხოლო ნახევრის ქვევით კი ისევ ეტყობა მხატვრობა. ამ ადგილას ნახევარი ვერსის მოშორებით არის აშენებული ოთხი ეკვლესია და პატარ-პატარა სენაკები; წინად აქ უცხოვრიათ ბერებს და იქვე ჩასვენებულან სამარეს. ეხლაც კარგად ეტყობა შიგ ეკკლესიებში საფლავები, რომლებზედაც აფარია არტყმული სიპი ქვები. ეს ყოფილა ძველი „შუა მთა“, რომელიც მეთხუთმეტე საუკუნეში გაუუქმებიათ.

ეს მონასტერი დღესასწაულობს დაბადებას ღვთის მშობლისას 8 სექტემბერს და ამიტომ ყოველ წლივ დიდძალი ხალხი იცის ხოლმე. წელსაც კახეთის ყველა სოფლებიდან მოაწყდა დიდძალი ხალხი. მარტო ურმები 200—250

იქნებოდა, ცხენოსნები და ქვეითები ხომ აუარებელნი იყვნენ. მწირველი იყვნენ მარტვილის მონასტრის იგუმენი და ორი ბერი ალავერდისა და თეთრი გიორგისა. წირვაზე გალობდნენ ყმაწვილ კაცობა და მოსწავლეები და კარგადაც იგალობეს, მიუხედავად იმისა, რომ მოუმზადებლები იყვნენ. გამოვიდა თუ არა წირვა, ყველა თავ-თავიანთ ბინაზე წავიდა და დაიწყეს სადილობა. გაიშალა სუფრები და ყველა სუფრაზე დაიწყეს „სუფრული“, „კახური“, „მრავალ-ჟამიერი“ და სხვა და სხვა სიმღერები. იშვიათი იყო ისეთი სუფრა, რომელსაც ან ზურნა და ან არღანი არ ყოლოდა. მარტო ხელა გლეხ-კაცებს აედევნებიათ თითო არღანი და დახეტიალობდნენ ეკკლესიის მინდორზე. მეარღნეები ტფილისიდან ჩამოვიდნენ ამ დღეობისათვის და ალავერდობისთვის. „რაინდები“ ბლომად იყვნენ და უცდიდნენ მარჯვე შემთხვევას რომ რითიმე ესარგებლნათ, მაგრამ ბოქაულის მოადგილე რ. მაჭავარიანი თავისი ჩაფრებით თავს დასტრიალებდა ამოდენა ხალხს და იმის მეცადინეობით არაფერი უწესოება არ მომხდარა. ამოდენა ხალხში არაფერი არ დაკარგულა, რადგანაც ახლო მახლო სოფლებიდამ რვა-რვა კაცი იყვნენ თოფებით, რომლებიც ხალხს დარაჯობდნენ.

თელაველი

*** **ს. ქოდალო.** თავადის ასულის მოტაცება. დღეს აქ ყველას სალაპარაკო საგნად გადაექცა თავ. ი. ქალის მოტაცებაერთ ახალგაზრდა კარდანახელ გლეხის კავთელიშვილისაგან.

*** **სოფ. გურიანთა** (გურია). საყურადღებო მკურნალი ქალი. ამ ბოლო დროს აქ მეტად გახშირებულია ეგრედ წოდებული „ვოჟო“, ანუ „შეპარულის“ ავადმყოფობა ჩჩვილ ყრმათა შორის. ერთ სოფელსაც ვერ ნახავთ ისეთს, სადაც ამ სენით შეპყრობილი ოთხი ხუთი ჩჩვილი ძუძუ მწოვარა და აგრეთვე ფეხ-ადგმული ბავშვი არ მოიძებნებოდეს. ამ სენით დაავადებული ბავშვი სწორედ გულ-შემზარავი სანახავია: ზეზეურად ამღრალი, სულ ძვალ-ტყავად ქცეული, გაყვითლებული, თვალებ-ჩაცვივნული და დავარდნილი. განუწყვეტლივ ღნავის და ძილი არ მოსდის. სამწუხაროდ, ამგვარ ავადმყოფ ბავშვს ჩვენი ექიმები ვერავითარ დახმარებას ვერ უწევენ. ისევ ღმერთმა აცოცხლოს ს. ასკანის მცხოვრები პატივცემული ალათია სიამაიშვილისა, თალაკვაძის ასული. რომელიც სწორედ რომ ღირსია საზოგადოების ყურადღებისა. ეს ადამიანი უებარი ექიმია ამგვარ ავადმყოფთათვის. მრავალ ბავშვს სწორედ მისგან უდგია სული: მე თითონ მთელი ორი წლის განმავლობაში ვწამლობდი ჩემს სამი წლის ბავშვს. მყავდა ხან ფერშლებთან და ხან კიდევ მაზრის ექიმთან, მაგრამ ბავშვს მაინც ვერავითარი ცვლილება ვერ შევამჩნიე. ბოლოს, როცა ბავშვი უკვე სასიკვდილოდ იყო გამზადებული, მივგვარე ხსენებულ მანდილოსანს და მისი წყალობით დღეს ბავშვი მშვენიერს ფერ-ხორცზე არის და სრულიად მორჩენილია. ამგვარი მაგალითები ბევრია ჩვენს ახლო-მახლო სოფლებში.

გ. ლე—ძე

*** **სოფ. სტეფანწმინდა** (დუშეთის მაზრა). ქურდობა და მკვლელობის განზრახვა. დადგა გრძელი ღამეები და ქურდ-ბაცაცებიც შეუდგნენ თავიანთ ხელობას. 12 ამ თვეს, ღამის 10 საათზე, იაგორ ივანეს ძის ღუდუშაურის სახლის სარჰულზე ასულიყვნენ ვიღაც ბოროტ-მომქმედნი და სართულის ჯუჯრუტანიდამ ჩასვლა განეზრახათ. რადგანაც სახლი თუნუქით იყო დახურული, ასვლის უმალვე მათი ხრიალი გაეგონა სახლში მწოლარე დედას ღუდუშაურისას და შვილი გაეღვიძებინა, ჩვენის სახლის ბანზე ვიღაც დადისო. ღუდუშაური მსწრაფლ ხელში რევოლვერით ქურდებს უკან დაედევნა, ერთი კიდეც ესროლა, მაგრამ სიბნელის გამო აეცდინა. შემდეგ ი. ღუდუშაურს მამასახლისის ლადო ტოფაძის თანადასწრებით მიემართნა იმ პირთათვის, ვისზედაც ეჭვი ჰქონდა მიტანილი. მაგრამ ამ დროს თვით იაგორ ღუდუშაურიც ცოტას გაწყდა კინაღამ მსხვერპლი შეიქნა ბოროტ-მომქმედისა. როდესაც მამასახლისმა კითხვა დაუწყო ერთს საეჭვო პირს ს. შ—ს, ამ საქმისა რა იციო; ეს უკანასკნელი გატრიალდა, შევიდა თავის სახლში და დაიძახა: „აი ლამფას გამოვიტან და აქაურობა გასინჯეთო“. ლამფის გამოტანის დროს ტყავ ქვეშ შეეფარებინა ამოღებული ხანჯალი, რომელიც უცებ გააქანა ღუდუშაურის მუცლისკენ; ღუდუშაური უკან გაუხტა, მხოლოდ მსუბუქად დაიჭრა ხანჯლით ბარკალში და ცალი თითი შუაზე გაესხიპა. რის ვაი-ვაგლახით მამასახლისმა გააშორა ღუდუშაურს ეს ბოროტი სული, მაგრამ ეს უკანასკნელი დღეს სახალხოდ სიკვდილს უქადის ღუდუშაურს. კარგი იქნებოდა, რომ საზოგადოება დაადგენდეს განაჩენსა და ამგვარ ბიწიერ პირებს განაშორებდნენ მშვიდობიანს ქვეყანას. თორემ „ბაძვით მორცხვი გაურცხვდების, ურცხვილოს თუ არ არცხვენ“. ან მთავრობა მიაქცევდეს ყურადღებას და ამისთანა მავნე პირებს სასტიკად დასჯიდეს, თორემ მხნე და შრომის მოყვარე ერს აღარ აღარ ედგომება.

კალმის-წვერა

*** **მიქელ-გაბრიელი** (გურია). აქაური ჭორ კლასიანი სკოლის შენობას დიდი ხანია ესაჭიროებოდა გადაკეთება. ხალხიც ამ საქმეზე ყოველ თუთხმეტ დღეში იკრიბებოდა, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზის გამო მუდამ საქმის გადაწყვეტა იშლებოდა და ჩვენ სკოლის მინგრეულ-მონგრეულ შენობას პალოებით და „ბოჯიკებით“ ამაგრებდნენ, რომ ბავშვებს არ დანარცხებოდა თავზე. დღეს კი როგორც იქმნა ჩვენი ახალი მაზრის უფროსის ბ. ლაზარენკოს წინადადებით დაადგინეს განაჩენი და აირჩეს კომისია, რომელმაც უნდა ააგოს ხსენებული შენობა.

— გზის შეკეთება. დიდი ქების ღირსია აქაური სოფ. ხრიალეთის მცხოვრები მიქელ-გაბრიელის საზოგადოების მამასახლისის თანაშემწე ვანო ჭაკნელიძე, რომელმაც შეაკეთა და მშვენიერ გზა-ტკეცილად გადააქცია სად. სუფსიდან მიქელ-გაბრიელში მიმავალი გზა. ამ გზის უვარგისობა არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული გაზეთებში, ყოველ წვიმის შემდეგ შეუძლებელი იყო ამ გზაზე მოგზაურობა, ხოლო ნოემბრიდან მარტამდის თითქმის სულ შესწყდება ხოლმე. არავის ამ გარემოებაზე ყურიც არ გაუბერტყია, თუმცა ეს გზა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. თუმცა ხსენებული მამ. თანაშემწე ახალი დანიშნულია მაგრამ ამ მოკლე დროში ბევრი ისეთი კეთილი საქმე გააკეთა, რომელიც მიქელ-გაბრიელის საზოგადოებას დიდი ხანია არც მოლანდებია.

ხრიალეთელი

*** **ს. ზემოხეთი** (გურია). დამხრჩვალი კაცის პოვნა. მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამ სამი წლის წინად ორი ძმა კვისტრაგულები მოჰყვნენ ზვავს და სიცოცხლითვე დაიმარხნენ. ერთი მათგანი წარსულ წელს იპოვნეს და მეორე ამ თვის პირველს თავის-თავად გამოჩნდა ზვავის ნანგრევიდან. საბრალოს დამტვრეული არაფერი არ ჰქონია და ამ ხნის განმავლობაში ტანისამოსიც მთელი შერჩენია.

ლ. ჭილაძე

## რედაქციისაგან

**ოზურგეთში** ექვთიმე ვასაძეს. გიმოწმებთ, რომ «ექვთ. ვ—ძე», რომელსაც პასუხი მივეცით ჩვენი გაზეთის 634 №-ში, თქვენ არ ყოფილხართ.

ბირკნელს. თქვენი წერილი ვერ დაიბეჭდება.

## თეატრის მატიანე

**დ. ყვირილა.** ქართული წარმოდგენა. 13 სექტემბერს, გვეწვია ქუთაისის დრამატიული დასი. გამართა ორი წარმოდგენა: 13 სექტემბერს — „ქართველი დედა“ დრამა ა. ცაგარლისა და 14 სექტ. „სამშობლო“ — ერისთავისა. საუცხოვო იყო მარინეს როლში ქ-ნი ივანიძე. აგრეთვე კარგნი იყვნენ ქ-ნნი ჩხეიძე (ლეილა), ბალანჩივაძე (ფაშა) და ბ. ქუჯი (პაპუა), მაგრამ საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ „სამშობლო“ ვერ იყო კარგად დადგმული: ყველა მოქმედება ერთი და იმავე ოთახში წარმოებდა და გარდა ამისა როლები ნაკლებად იცოდნენ, ბ. დ. ჩარკვიანი ასრულებდა ლევან ხიმშიაშვილის როლს და არ შეგვიძლია არ ვუსაყვედუროთ, რომ მოუმზადებლად გამოვიდა ასეთ ძნელ როლში. მან ბევრგან ხელი შეუშალა თამაშის დროს ქეთევანს და ლეონიძეს. სამაგიეროდ უნდა სიამოვნებით აღვნიშნოთ, რომ ბ. ჩარკვიანმა „ქართველ დედაში“, რომელშიაც ასრულებდა ვახტანგის როლს, კარგათ ითამაშა.

დასასრულ ორივე წარმოდგენამ დიდი შთაბეჭდილება იქონია ხალხზე, რომლებიც ბლომად დაესწრო ორივეზე. ვუსურვოთ დღეგრძელობა ამ ახალგაზრდა მსახიობთ, რომ ხშირად გვესტუმრონ და გაამხიარულონ ყვირილის საზოგადოება. ეს მესამეთ არის, რაც ქ-ნი ჩხეიძე ყოფილა აქ. სასურველია არც აწი აიცრუებდეს გულს ჩვენზე და გაგვაბედნიერებდეს თავისი ხშირი სტუმრობით.

ანი

## სხვა-და-სხვა ამბავი

ქალები ეტლების კონდუქტორებად. ამერიკაში გაჩნდა ახალი ხელობა, რომელიც აქამდე მხოლოდ მამაკაცების საქმეს შეადგენდა. ქ. ჩილიკეტში (ოგაიოს შტატში) ქალებს კონდუქტორობის ნება მიეცათ ქალაქის ეტლებში. როცა კამპანიამ გაზეთებში განცხადება დაბეჭდა. ქალებსაც ვიღებ სამსახურშიო. ასზე მეტმა ქალმა განაცხადა სურვილი და ჩაეწერნენ კონდუქტორთა რიცხვში. კამპანიამ აირჩია შვიდი მათგანი და ჩააბარა ეტლების მართვა. ცდა მარჯვე გამოდგა, საზოგადოება ძალიან კმაყოფილი დარჩა კონდუქტორ ქალებისა და თითქმის კიდეც ამჯობინა ისეთ ეტლებში ჯდომა, სადაც ქალები მსახურებდნენ. ასეთმა კარგმა შედეგებმა აიძულეს კამპანია უფრო ბევრი ქალები მიეღო სამსახურში. კონდუქტორი ქალები მუშაობენ 9 საათს დღე და ღამეში, და იღებენ 4 დოლარს კვირაში, და გარდა ამისა კვირაში ერთი დღე თავისუფალი აქვთ. ფიქრობენ, რომ მალე სხვა შტატებშიც შემოიღებენ ქალების კონდუქტორობასო.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 სექტემბერი

**კურსკი.** ბატურლინიდგან იუწყებიან მეუღლეთა ერმოლენკოვების მოკვლის შესახებ. ერმოლენკოვი პოლტავის მდიდარი მემამულე იყო. მეუღლენი ძილის დროს ცულით მოუკლავთ.

**დონის-როსტოვი.** დონის ნახიჩევანში შესდგა საზოგადო კრება სომეხთა ეკლესიების მრევლისა, საეკლესიო სამზრუნველოს 1896 და 1897 წლების ანგარიშების განსახილველად. კრებასვე უნდა განეხილა განსაკუთრებული ანგარიში სამზრუნველოს მიერ დონის-როსტოვში სახლის აგების შესახებ. ამ სახლზე დახარჯულ იქმნა 300,000 მანეთზე მეტი საქველ-მოქმედო ფული. კრებამ არ დაამტკიცა რა 1896 და 1897 წ. ანგარიში, ერთხმად დაადგინა სამზრუნველოს მიერ სახლის აშენების საქმე ტაგანროგის სასამართლოს ბრალმდებელს გარდასცეს და სთხოვოს განკარგულება მოახდინოს, რომ გამოძიება დაიწყონ.

**ლონდონი.** გამოქვეყნებულ იქმნა მიწერა-მოწერა საფრანგეთან ფაშოდას შესახებ, ფრანგების მოქმედებას დელკასიე იმით ამართლებს, რომ სუდანი ეგვიპტემ დაჰკარგაო. გამოქვეყნებულ იქმნა აგრეთვე ქაირში მყოფ ინგლისის ელჩის დეპეშა სალისბიურთან გაგზავნილი. ელჩი ატყობინებს, რომ მარშანი უეჭველად დაიღუპებოდა, ინგლის-ეგვიპტეს ჯარს რომ ორის კვირით გვიან დაემარცხებინა ხალიფის ჯარიო. 3 ოქტომბერს სალისბიურიმ მიანდო მონსონს გამოუცხადოს დელკასეს, რომ ინგლისი მარშანის ექსპედიციას არავითარ პოლიტიკურ მნიშვნელობას არ აძლევსო.

**ფრანკფურტი.** „Frankfurter Zeitung“-ს პეკინიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ აქ ამ ცოტა ხანში მოელიან აგრეთვე საფრანგეთის და იტალიის ჯარს თავიანთის მისსიების დასაცველადაო.

**კანეა.** სულთანმა დაავალა ჯევად-ფაშას ეახლოს იმპერატორს ვილჰელმს სირიაში მოგზაურობის დროს. დღეს ჯევად-ფაშა ბეირუთში მიდის. კრიტის ჯარის უფროსად იქმნება შაქირ-ფაშა.

**იოკაჰამა.** იაპონიის მთავრობამ თავის მისიის დასაცველად პეკინში განკარგულება მოახდინა, რომ ზღვაოსნები ხმელეთად გადასხან.

**პარიზი.** დილამ მშვიდობიანად ჩაიარა. იმდენივე მუშა მუშაობს რამდენიც შაბათს.

**პოსტდამი.** იმპერატორი მეუღლითურთ სამშაბათს მიდის კამენცში, პრინცს ალბრეხტის მეუღლის დასაფლავებაზე დასასწრებლად, შემდეგ ვენეციაში წავა, სადაც ხუთშაბათს მივა. სადარბაზოდ იქმნებიან რა მეფესთან, მათი უდიდებულესობანი კონსტანტინეპოლში წავლენ.

### ნიხრი,

დამტკიცებული 12 აგვისტოს

| | | | |
|---|---|---|---|
| ძროხის ხორცი 1 ხარისხ. | | 7 | კ. |
| სუკი გირვანქა | „ „ | 12 | კ. |
| ცხვრის ხორცი | „ „ | 8 | კ. |

## განცხადებანი


იყიდება

„ცნობის ფურცლის“ რედაქციაში

იაფ-ფასიანი

სახალხო გამოცემანი:

თავ. ილია ჭავჭავაძე . 2 „

ალექსანდრე ყაზბეგი 2 „

სპარსეთის მეფე და ქართველი ტყვე . . . 2 „

პატარა ბიბლიოთეკა . . 2 „

ვინც ას ცალს გამოიწერს, მანეთზე დაეთმობა ორი აბაზი.

მსურველნი მიჰმართავენ „ცნობის ფურცლის“ რედაქციას. (30—13)

ცნობილი ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხვ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

Музыкальное депо

Б. М. Мириманіана

Тифлисъ, Дворцов. ул.

(54—46)

ახლად გახსნილი

სტამბა

„ცნობის ფურცლისა“

ტფილისი, სასახლის ქ., სათავად-აზნაურო ქარვასლაში №№ 119 120 და 121

✦✦ სტამბა ყოველისფრით სავსე და მოწყობილია ✦✦

ყოველგვარი საქმე სრულდება სწრაფად. სუფთად და იაფად. სტამბა ასრულებს აგრეთვე პროვინციის მცხოვრებთა შეკვეთას; მსურველნი მიჰმართავენ სტამბას, რომელიც კისრულობს ხელ-ნაწერების აწყობას, დაბეჭდვას, ქაღალდის ყიდვას, კორექტურას, ენის შესწორებას, საცენზუროდან ნება-რთვის აღებას და სხ.

ჰბეჭდავს სავიზიტო ბარათებს სხვა-და-სხვა გვარ ქაღალდზე ვაჟებისა და ქალებისათვის იაფად და შნოიანად.

ВО ВНОВЬ ОТКРЫТОЙ

ТИПОГРАФІИ

„Цнобисъ Фурцели“

В. Л. ГУНІА

Тифлисъ, Дворц. ул., д. Грузинскаго Дворянства.

Исполняются всевозможные заказы на всѣхъ Туземныхъ и Европейскихъ языкахъ

Дешевизна, изящество и быстрота исполненія

КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) Бухгалтеріи двойной итальянской по разнымъ отраслямъ тортовой промышленности,
2) Коммерческой ариѳметики (банковыя и торговыя операціи),
3) Ариѳметики на счетахъ.
4) Коммерческой экономіи,
5) Торговыхъ и вексельныхъ узаконеній.

препомдаетъ И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ общ. взаимн. сел.-хоз. кредита и препод. школы садоводства.

Плата за весь курсъ 60 руб.

Курсъ 3-мѣсячный, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій — 1-е число каждаго мѣсяца.

Аттестаты за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школы садоводства.

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.

(100—51)

Изданіе газеты «Казбекъ»,

пріостоновленное распоряж. г. Министра Внутр. дѣлъ, на 8 мѣсяцевъ

возобновляется со 2-го сентября 1898 г.

Принимается подписка

на общественную, политическую и литературную газету

„КАЗБЕКЪ“

Условія подписки:

Съ доставкою во Владикавказѣ на одинъ годъ . . . 6 руб.
Съ пересылкою иногороднимъ » » » . . . 7 руб.
Съ сентября по 31 декабря 1898 г. какъ городскимъ, такъ и иногороднимъ подписчикамъ два рубля.

Плата за объявленія:

На 1-й страницѣ за 1 разъ 20 к. послѣдующіе разы 10 к. ) со строки
На 4-й » „ 1 » 10 к. „ » 5 к. ) петита

Отдѣльный нумеръ 5 коп.

Подписываться можно съ 1-го числа каждаго мѣсяца и до конца года. Подписка и объявленія принимаются во Владикавказѣ, въ конторѣ газ. «Казбекъ» у издателя С. І. Казарова. (12—12)